ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ანტონ ხუნდაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის
შემსრულებლის თამაზ ჯინჭარაძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 61-ე მუხლის მე-2 ფუნქტისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ''.

ფონდიდან დასაფინანსებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის პირველი ეტაპი არის პროექტების თაობაზე საპროექტო წინადადებების მომზადება და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის წარდგენა. პროექტის ინიცირება იწყება საპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ.

განკარგულების პროექტით გათვალისწინებული, მოსაწონებლად წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების ინიცირება გამოიწვია ბოლო პერიოდში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების შემჭიდროებულ ვადებში აღდგენის აუცილებლობამ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი

შემსრულებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შერჩეული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ"- თაობაზე

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 ფუნქტთან, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების სამართლებრივი საფუძველია „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილება, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ინიცირება იწყება საპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ.

იურიდიული განყოფილების

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: *ბექა შენგელია*